

შინაური საქმეები.

№ 40.

ფასი ერთი შაური

ფლიური ფასი 4 მან.

წელიწადი მეხუთე.

✎ ყოველ-კვირეული გაზეთი ✎

კვირა, 18 ნოემბერი 1912 წელი

ყოველ-კვირეული გაზეთი

შინაური საქმეებზე

ხელას-მოყვას მიღება (რედაქციაში, ქ. ქუთაისში სურათად) — კახაბერის შუამდგომლობა გამოემდგინა სომხის პაზნის, სომხანის სურათის შესახებ № 17). და თოდოსის გამოემდგინა სომხის პაზნის თხი ნომერი. მადზაში. გამოვე ყოველ გაზეთის ფასი:

ქალური ფასი: 4 მანეთი. წამი ფასი: 2 მანეთი. ერთი თეთრი: 2 ბაბი.

საქ. წლი: 2 მანეთი.

ცალკე ნომერი ქუთაისში ერთი შაური.

ფულად-შემოტანა წლიურ ხელს მოწვევით შესთავაზებენ განაწილდეს: თანადან 2 მ. და 1 იენის 2 მ. განსაზღვრის ფასი წინა გვერდზე პეტრით სტროკინი ორი შაური, უკანასკნელზე 7 მ.

ადრესი: ქუთაისი: „შინაური საქმეების“ რედაქცია.

შინაური: 1. სიტყვა ყოველად წმიდა ქალწულის მარიამის ტაძრად მიყვანების დღეს — ეპისკოპოს ლეონიდისა; 2. დამაფიქრებელი გარემოება — ონოფრე მწირისა; 3. ნამუსი — რ. საჯავახელისა; 4. მღვდლის ავტორიტეტი — იათეოზისა; 5. კრიტიკული შენიშვნები — ხომლელისა; 6. ბედნიერება (რუსულიდან) — მღ. ს. კეკელიძისა; 7. კიდევ საფირჩხიის სასაფლაოზე — მოკეთესი; 8. დეკანოზ გიორგი ბერიძის გარდაცვალების გამო — გურძემელისა; 9. მოწერილი ამბები: სოფ. ტყაია — მედავითნე — პლატონ საჯავახისა; 10. პასუხად ბ-ნ. კამიტეტის წევრს — დ. ნს-ძესი.

სიტყვა

უ-დ წმიდა ქალწულის მარიამის ტაძრად მიყვანების დღეს.

სახელითა მამისათა, და ძისათა, და სულისა წმიდისათა.

ტაძრად მიყვანება უდ წმიდა ქალწულის მარიამისა — ასე იწოდება დღევანდელი დღესასწაული. შემთხვევა, რომელსაც გვახსენებს დღეს წმიდა ეკლესია, არა უცხოა ჩვენთვის, რადგანაც ზოგს ოჯახში გვსმენია იგი, ზოგს ეკლესიაში. მაგრამ ჩვენთვის ამ შემთხვევის ცარიელი ცოდნა არ კმარა. დღესასწაული იმის დღესასწაულია, რომ უსათუოდ რამეს გვახსენავს, ცხოვრების გაკვეთილს გვაძლევს, შეგნებას გვიღრმავებს, რომელიმე საგულისხმო კუთხარტებას გვიკარნახებს. აი სწორეთ ამ

მხრივ უნდა მივაქციოთ ყურადღება დღევანდელ დიდებულ დღესასწაულს და შევიგნოთ, რითაა იგი ჩვენთვის საგულისხმო.

იოაკიმ და ანნას მოგონებაზე, რომლებმაც თავიანთი ერთად ერთი ქალიშვილი, სამი წლის მარიაში, მიიყვანეს იერუსალიმის ტაძარში აღსაზრდელათ, თავისთავად თვალ წინ გვიდგებიან ქრისტიანი მშობლები თავიანთი შვილებით და გვებადება ის რწმენა, რომ როგორც ქალწული მარიაში მისი მშობლებისათვის, ისე ყველა ქრისტიანი მშობლებისთვის შვილები შეადგენენ ღვთისაგან მინიჭებულ მადლსა და კურთხევას. ქრისტიან მშობლებს დღეს აღარ მიჰყავთ თავიანთი პატარა შვილები ტაძარში აღსაზრდელად, რადგანაც აღარ მოიპოვებინ ჩვენ ტაძრებთან იმ სახის სასწავლებლები, როგორც არსებობდა იერუსალიმის ტაძართან იოაკიმ და ანნას დროს, მაგრამ ეს გარემოება არა მშობელს არ ათავისუფლებს ზნეობრივი მოვალეობიდან, რომ თავისი შვილები აღზარდოს და განავითაროს უსათუოდ ეკლესიისა და სარწმუნოების გავლენის ქვეშ.

ტაძრის ალაგი დღეს ოჯახს უკავია, ქრისტიანული ოჯახი პატარა ტაძარია და აი სწორედ ამ პატარა ტაძარში უნდა იწყებოდეს შეგნებული, აზრიანი და ბეჯითი აღზრდა-განვითარება ბავშვისა არა სამი წლიდან დაწყებული წმიდა მარიამის ტაძრად მიყვანების მაგალითის მიხედვით, არამედ იმ წამიდან, რაკი ოჯახის ქერი პირველად გაიგონებს ახლად დაბადებულის ხმას, რაკი ოჯახის საცხოვრებელი სახლის იატაკზე ამოძრავდება ახლად დაბადებულის აკვნის საგოგავი. სიცოცხლის პირველსავე დღეებში უნდა განაყოფიერდეს ბავშვის სული მოშავალა განვითარების თესლით, პირველ ხანას ბავშვის სიცოცხლეში გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს მისი ზნეობრივი ასეთი თუ ისეთი აგებულობისათვის, სიცოცხლის პირველ ხანაში იყრება საძირკველი ბავშვის ხასიათისა, მაშინ ყალიბდება მისი პიროვნება. თუ ძველ აღთქმაში იერუსალიმის ტაძარში ბავშვების მთავარი აღმზრდელი იყო მღვდელმთავარი, ქრისტიანულ ოჯახში მის

მაგიერობას უნდა ეწეოდნენ ბავშვების მშობლები.

ვის არ უნახავს ათასი ფესვებით, პატარა ძაფებით და ურიცხვი ტოტებით დიდ ხეზე ასული და მის კანში მჭიდროდ ჩამჯდარი თასმასავით მოქნილი, სიმაგრეს მოკლებული სურო? ზედ გამოკრილად ამ სურათს გვიხატავს პირველ ხანებში ბავშვების სულიერი და ხორციელი განწყობილება მშობლებთან. მშობელთა კალთიდან და მკლავებიდან ეცნობა ბავშვი გარეშე ბუნებას, დედმამის სახე და თვალეტი აძლევს მას ცოდნას სიხარულისას და შწუხარებისას, სიკეთისას და ბოროტებისას, ალერსისას და მრისხანებისას, სიბრალულ—შეწყნარებისას და უღმობელ—განუკითხაობისას, საწმინდისას და ბიწიერებისას. მშობლების მიმართულება, მშობლების ხასიათი, მშობლების ავი და კარგი ეთვისება ბავშვს მისი ცხოვრების პირველ ხანაში ისე, როგორც ხის ტოტზე მომბულ ნაყოფს მიწიდან ამოტანილი წვენი. არც ერთი სიტყვა, არც ერთი საქციელი, არც ერთი ნაბიჯი და თვალის დახამხამება მშობლებისა არ რჩება შეუმჩნეველად და უშედეგოდ ქორთა ბავშვებისათვის. მშობლებზეა უმთავრესად დამოკიდებული ღვთის მოსახენი იქნებიან საბოლოოთ მათი შვილები, თუ ბოროტების მიმდევარნი, ღვთის სასუფეველის მკვიდრად შეიქმნებიან, თუ ჯოჯოხეთისა.

ვერავითარი გარემოება, ვერავითარი კანონი და მოსაზრება ვერ დაგვარწმუნებს, რომ შვილების ზნეობრივ სიგლაზეში პასუხის მგებლობა არ მოეთხოვოთ მშობლებს. გვწამს და ხმაძალა ვაცხადებთ, რომ საშინელი განსჯის დღეს, როდესაც მაცხოვარი სოფლისა შევა ჩვენი ცხოვრებისა და საქმეების განხილვაში, ბევრნი, ვითომდა ბოდიშის მოსახდელად და თავის გასამართლებლად, ეტყვიან მას: მშობლებმა, რომლებიც შენ მოგვეცი, არ გავგაძენს ბავშვობაში შენი ვინაობა, არ დაგვახლოეს ზეციერ მამასთან, არ დაგვინერგეს სიყრმიდგან ღვთის სიყვარული და ამიტომ დავიკარგენით სულითა და ხორციით, ამიტომ ვცხოვრობდით ბოროტებითო.

ვთქვამთ იმ მშობლებს, რომლებს ბრალმდებლათ მათივე შვილები გამოვლენ! რას იგრძნობს მაშინ უგუნური დედა, რომელმაც არ ისურვა დედობის საღმთო მოვალეობის შესრულება და მისდამი ღვთისაგან მინიჭებული შვილი სხვას მიუტღო აღსაზრდელათ? რას განიცდის იმ უამს ფუქსავატი დედა, რომელმაც შვილების აღზრდა ეჩვენებოდა თავისი ღირსების დამკვირვებლად და ამიტომ დედობას ამჯობინა მასწავლებლობა, ექიმობა, ვეკილობა, მოხელობა, საზოგადო მოღვაწეობა? სირცხვილი აუტანელი მოიცავს მათ არსებას და სასოწარკვეთილებით მიმართავენ მათ: დამეცენით ჩვენზედა, და ბორცვთა: დამფარენით ჩვენ (ლუკ. 23, 30).

ბავშვის აღზრდას შნიშვნელობის დიადობით ვერაფერი ვერა შეედრება რა ადამიანის მოქმედებაში. აღზრდამ უნდა გადაწყვიტოს ბავშვის ბედი და იღბალი, ბავშვის მომავალი, როგორც მოქალაქისა, საზოგადოების წევრისა, მეოჯახისა და ქრისტიანისა. ბავშვის აღზრდა, თუ გნებავთ, რამდენადმე ღვედლომოქმედებაა და ამიტომ მშობლები სარწმუნოებრივი კრძალულებითა და გულსმოდგინებით უნდა ასრულებდნენ მას.

უღვთოდ ყველაფერი ტყუილი, ამაო და დაკარგულია. ეს ისეთი სინამდვილეა, როგორც მდინარის ბუნებრივი მიდენა უსათუოდ დაღმართისაკენ. ამიტომ მშობლების უმთავრესი საზრუნავი შვილების აღზრდის საქმეში ისაა, რომ ბავშვები დაუახლოვონ ღმერთს, აგრძობინონ მათ ზეციერი მამის უსაზღვრო სიყვარული და მადლიანობა, მისი სიკეთე და კაცთმოყვარება. ესაა მთავარი ლურსმანი ბავშვის აღზრდაში, ამაზე უნდა იქმნას აგებული მთელი შენობა და ამას უნდა შეეწიროს ყველაფერი.

მაგრამ თქვენ იღიმებით, თქვენ არ გჯერათ უკანასკნელი დასკვნა, თქვენ ფიქრობთ, რომ მე გირჩევთ ისეთ აღზრდას ბავშვებისას, რომელიც ხელსაყრელია მხოლოდ საღმრთო და სამღვდლოდ გამზადებული პირებისათვის, ე. ი. თავზე გახვევთ ცალმხრივს, ყალბს, შემც-

დარს, როგორც ვხლა უწოდებენ, კლერიკალურ აზრს.

ჰსცდებით; არასფერს ამის მსგავსს არ გიქადაგებთ. შვილი, როგორც ზემოთ მოვიხსენე, ღვთის კურთხევაა მშობლის თავს და როდესაც ღმერთი თან აყოლებს მისი მადლითა და კურთხევით გაჩენილ ბავშვს მრავალსულიერ ძალებს, რაკი თვით უფალი აჯილდოებს ახალდაბადებულს სხვადასხვა ნიჭით, რა უფლება აქვს მშობელს, რომ თავდადებულად არ იზრუნოს ამ ნიჭთა და სულიერი ძალების თანაბრად გავლიძებისა, შეთანხმებულად აღზრდისა და მიხანშეწყობილად განვითარებისათვის? წარმოუდგენელია. რომ ბაღის პატრონმა მოუწონოს და თვალეზი დაუკონოს მებაღეს ნაყოფიერი ხეების ტოტების აჩება და მარტო ღეროებზე დაყენება. სასტიკად დასჯის ზეციერი მამა იმ უგუნურ მშობლებს, რომლებიც გაბედავენ ბავშვის რომელიმე ნიჭის დახშობას, რომლებიც შეძლებისადაგვარად არ მისცემენ შვილებს ყოველმხრივს და საესე განვითარებას. ბავშვის ბუნების სრული აყვავება-განვითარებისათვის აუცილებელ პირობას შეადგენს საღმრთო ჰაერი, ზეციური სითბო და დაუვალი მზის სინათლე. მე გირჩევთ და გავალებთ თქვენი შვილების სრულსა და ყოველმხრივ განვითარებას ოღონდ კი ეს განვითარება დამყარებული იყოს ღვთის მცნებაზე, ოღონდ კი იგი ჰსწარმოებდეს ქრისტეს მოძღვრების გავლენით. ნუ იფიქრებთ, რომ მორწმუნეობა, ქრისტიანობა ვისმეს ამცრებდეს. პირიქით, სრული, ნამდვილი კაცობა მარტო შეგნებულ ქრისტიანს ეთქმის.

თუ მშობლებს არ ექმნებათ ძვალ-რბილში გამჯდარი უცილობელი რწმენა ღვთის არსებობისა, თუ გულის საუნჯედ არ ეყოლებათ მათ შემოქმედი და გამგე ქვეყნისა, თუ მათი ცხოვრება, მათი მოქმედება, მათი ფიქრი, მათი აზროვნება და მსჯელობა, მათი სიტყვა და საქმე, მათი ადგომა და დაწოლა არ იქმნება მათი მაღალი რწმენისა და სასოების გამოხატულება, ცხადია, ვერც შვილებს შეათვისებენ ღვთის არსებობის სინამდვილეს, ვერც შვილებს

გაუთბობენ გულს ქვეყანაზე მხოლოდ მაღალი, ზნეობრივი და კეთილი მოქალაქობის სურვილით, ვერც შეილება აღჭურავენ იმ მტკიცე სასიყვარულო და საღმთო კრძალულებითა, რომელიც საიშინოდ ფარია კაცისათვის ყოველგვარ გაჭირვებაში. ყველას გვესმის ეს ქეშმარიტება? ყურადღებას ვაქცევთ მას რამდენადმე მაინც ბავშვების აღზრდის საქმეში? ბევრი მოიპოვებია ჩვენში ისეთი მშობლები, რომ ნათელი სარწმუნოებრივი ცხოვრებით მისაბამ მაგალითს აძლევდნენ თავიანთ შვილებს? ბევრი არიან ჩვენში ისეთი ბედნიერი შვილები, რომ დილით გამოღვიძებულნი ხედავდნენ თავიანთ მშობლებს წმინდა ხატების წინ დაჩოქილებს და ხელაპყრობით სასიყვარულო მლოცველებს?

სამწუხაროდ, არამცთუ ღვთის ლოცვედრებას, თავიანთ პატივისცემას, და დაფასებასაც იშვიათად ასწავლიან ჩვენში მშობლები შვილებს. პირიქით, ხანდისხან მგონია განგებ ავარჯიშებენ შვილებს თავიანთი პიროვნობის შეურაცხყოფა-დამცირებაში.

ქ. ფოთში ამას წინეთ საჯარო კრებაზე, რომელსაც დაესწრო აუარებელი რიცხვი მოსწავლე და არა მოსწავლე ქალ-ვაჟებისა, გარჩიეს ერთი ნიჭიერი ქართველი მწერალის მოთხრობა. მოთხრობაში მთავარ გმირად გამოყვანილია სოფლის ღარიბი გლეხის ახალგაზრდა ქალიშვილი. ამ ქალიშვილმა, სქესობრივი მოთხოვნილების ფარულად დაკმაყოფილებით და ამისგან უკანონო შვილის შექმნით დაიმსახურა მშობლების წყრომა და, ცოტა არ იყოს, ფიცხელი მოპყრობა. ოჯახში ქალს უსამართლობად ეჩვენა მშობლების მხრივ სასტიკი მოპყრობა და თავის მდგომარეობასთან ქრისტიანული მოთმინებით შერიგების ნაცვლად დაიწყო მოხუცებული მშობლები, გასწირა თავისი შეცდომის უმწეო ნაყოფი და თბილისიდან მოსული საეკლესიო ყოფაქცევის მანდილოსნის რჩევით გაიპარა თბილისში. აი ეს ქალიშვილი გასამართლეს და როგორ ფიქრობთ, რა მიუსაჯეს, რა დადგენილება გამოუტანეს მსაჯულებმა? სრულებით მართალი და უდანაშაულო ხარ, იმ პირობებში, რომლებშიც შენ ტრია-

ლებდი, უსათუოდ აგრე უნდა მოქცეულიყავო, დამნაშავენი და გასაკიცხნი არიან მხოლოდ შენი მშობლები, რომ საყვედურებს გაგონებდნენო, ბარაქალა შენს ქალობას ვაშა შენს გაბედულობასო!

მაშ რა გნებათ, ხომ არ ჩავაქვავებდით, არ ჩავქოლავდით იმ ქალიშვილსო? ღმერთმა ყოველი ქრისტიანი სული დაიხსნას ასეთი უგუნურობისაგან! დამნაშავეს ჩაქოლვა დამცირება და დიდი შეურაცხებაა ქრისტიანობისა. ქრისტემ მცნებად დაგვიდგინა დამნაშავეს შებრალება, დანაშაულის პატიება, შენდობა, დაიწყება. მაგრამ შენდობა და გამართლება სულ სხვა და სხვა ცნებებია. შენდობა ნიშნავს პატიებას, დანაშაულის დაიწყებას, გამართლება კი დამნაშავეს საქციელის მოწონებას და დასტურებას.

მსაჯულებს, როგორც ქრისტიანებს, უსათუოდ უნდა შეენდოთ და მიეტყვებიან ქრისტიანების ოჯახიდან გაქცევა. ეს მათი უფლებაც იყო და ზნეობრივი მოვალეობაც. მაგრამ მათ შენდობა დამცირებად მიიღეს და დამნაშავე სრულებით გაათეთრეს, ყველაფერში გაამართლეს, უდანაშაულოდ ჰსცნეს და საქციელი მოუწონეს.

სულ მახლობელი მომავალი დაგვანახებს, რა დიდი ბოროტება ჩაიდინეს ქრისტიანს მსაჯულება თავიანთი შეუფერებელი განჩინების დადგინებით. სულ მალე დარწმუნდებით, რომ ამ გასამართლებამ თქვენი შვილები ქრისტიანს კვალზე დააყენა და ასეთ გარემოებას საოცარი გაუგებრობის გამო, ტაშის ცემითა, აღერთოვანებით და ვაშას ძახილით მიეგებეთ!

შეინანეთ, წრფელი სინანულით შეინანეთ, ქრისტიანო მშობლებო თქვენ მიერ ჩადენილი დანაშაული და დასდეთ ალთქმა, რომ ამიერიდან აღარაფერი ამისი მსგავსი არ გამეორდება თქვენს ცხოვრებაში. გახსოვდეთ დღევანდელი დღესასწაული და შვილების აღზრდაში, შვილების საქციელის გასამართლებაში, იყავით მუდამ წამბამაინი იოაკიმ და ანხას მაგალითისა, რადგანაც ქეშმარიტება ყოველ ქვამს ქეშმარიტებაა და სიძველის გამო მას არ აკლდება

ღირსეულობა. შევიგნოთ ყველამ, რომ დღევანდელი დღე ხმაბალაღი ღაღადებაა შობლების საგულისხმოდ იმ უტყუარი სინამდვილისა, რომ ყოველგვარი აღზრდა, ყოველგვარი განვითარება შეიღებისა, თუ არა ღვთიური თუ არა სარწმუნოებრივი და ქრისტიანული, სულიერი დაბრკოლებაა ბავშვის და ვაი ასეთ შობლებს, რადგანაც მათზეა ნათქვამი: რომელმან დააბრკოლოს ერთი მცირედთა ამთავანი, ჩემდამომართ შორწმუნეთა უმჯობეს არს მისა, დამოთუიკიდოს წისქვილი ვირით საფქველი ქედსა, და დაინთქას იგი უფსკრულსა ზღვისასა (მათ. 18, 6). ამინ.

უბრალო ხალხს არც ინტელიგენცია ჩამორჩა.

დაძაფიქრებული გარეგნობა

ვის არ ახსოვს 1905 წელი. აზვითებულმა განმათავისუფლებელმა მოძრაობამ შეანძრია ატბორებული ჩვენი ეკლესიური ცხოვრება. თუ აქამდე სარწმუნოებრივ-ეკლესიური საკითხი მხოლოდ მღვდელ-დიაკონსა ან და ეპარქიის მამათა კრებას აინტერესებდა და ისიც იმ მხრივ, თუ რაედენი ღერი სანთელი გაიყიდა ან და რას უდრის წლიური ჯამი სამღვდელ-მოქმედო შემოსავლისა, განმათავისუფლებელ მოძრაობის დროს სრულებით გამოიკვალა სურათი. ეკლესიურ ასპარეზზე, დიდი ხნის სიჩუმის შემდეგ კვლავ გამოვიდა უმრავლესი ნაწილი ეკლესიის შემადგენელ წევრთა — ხალხი, ეგრეთ წოდებული „ერი“: „სარწმუნოებრივ-საეკლესიო საკითხი ფართო საზოგადოებაში შეიქრა და ახალგაზდასა და მოხუცს, ნასწავლსა და უსწავლელს, ყველას მოსთხოვა საკუთარი აზრი, თავისი შეხედულება. სიამოვნებას განვიციდი, როცა გამახსენდება ხოლომე უბრალო სოფელელისგან ცხადი გულის-ფანქვალით მომართული კითხვები სარწმუნოების შესახებ. და ასეთი მკითხველი მაშინდელ დროს ერთი და ორი არ იყო. ძნელად შეხედებოდი იხეთ მობაასეს, იხეთ შეკრებილებს, სადაც სარწმუნოებაზე მუსაიფი არ ჩამოვარდნილიყო.

უბრალო ხალხს არც ინტელიგენცია ჩამორჩა. სხვათა შორის ამის ცხადი მოწმეა ასპარეზზე გამოსვლა რელიგიურ-ფილოსოფიურ საზოგადოებათა, რომელთა რიცხვი დღითი დღე მატულობდა იმ დროს. ახლა აიღეთ მწერლობა განმათავისუფლებელ დროის ორიოდ წლის განმავლობაში საოცრად მდიდარი ლიტერატურა შეიქმნა სარწმუნოებრივ-საეკლესიო საკითხების გარშემო და, რაც საყურადღებო და საგულისხმოა, „ერი“ აღფრთოვანებულ, აღზნებულ მონაწილეობას ღებულობდენ ამ სარწმუნოებრივ შემოქმედების აფეთქებაში. ნუ შეგვაშფოთებს ის გარემოება, რომ ამ დროის სარწმუნოებრივ მოძრაობას მომეტებულად უარყოფითი ხასიათი ქონდა. ეს ხასიათი თვით ჩვენი ეკლესიურ ცხოვრების გზას ამცდარ მიმდინარეობითა და დუხჭირ პირობებით იყო მომეტებულად აღზრდილ-გამოწვეული და ამისთვის, უნდა ვიფიქროთ, გარდამავალი იყო საყურადღებო და სანუგეშო ის არის, რომ მთელ ამ მოძრაობაში კეთილ-მოშავლის შრომას წავებეღ ვარსკვლავად გამოაშუქა დიდი ხნის უნახავმა მოვლენამ. „ერი“ გამოვიდა საეკლესიო ასპარეზზე. ხალხმა, საზოგადოებამ ყურადღება მიაქცია საზოგადოებრივ ცხოვრების სარწმუნოებრივ მხარეს. პირველად დაიწყო ამ საგანზე მსჯელობა, ლაპარაკი, ფიქრი. ეს პირველი ნაბიჯი იყო სარწმუნოების შეგნებულად შეთვისებისკენ. საზოგადოდ ლაპარაკობენ, განმათავისუფლებელმა მოძრაობამ ეკლესიას ძირი გამოუთხარა, ქრისტიანობა შეამცირო. თუ ნამდვილ ქრისტიანედ მიგაჩნიათ ის ადამიანი ვინც მხოლოდ მისთვის ატარებს ამ სახელს, რომ მამა და პაპა მისი ასეთ სახელს ატარებდა, შეიძლება ეს ასეც იყოს, მაგრამ თუ სარწმუნოებას შეგნება აძლევს სიმტკიცესა და ფასს, მაშინ სულ სხვა გვარად უნდა შეხედოთ საქმეს. ჩემი აზრით, განმათავისუფლებელმა მოძრაობამ გამოაღვიძო დაძინებული გონება, შეარხია დაჩლოუნებული გრძობა, პრძოლის, მოძრაობის-სიციცხლის გზაზე გამოიწვია ჩვენი შეჩერებული ეკლესიური ცხოვრება, და მე ვფიქრობ, რომ განმათავისუფლებელი დრო.

დრო, თუ გნებავთ, „უარის ყოფისა“, რომ გაგრძელებულიყო, სარწმუნოება და ეკლესია თუ მოიგებდა, თორემ არაფერს დაკარგავდა თვის შინაგან სიმბურვალისა და გარღვევა-ვაფაქიზების მხრით.

დიად, განმათავისუფლებელმა მოძრაობამ გრივალისთვით გადაიარა ჩვენს მძინარე თავზე, მიმოგვიჩინა უზრუნველობის სარეცელი და ის სიკეთე დაგვიტოვა, რომ ფარდა ახადა ჩვენს დაობულ ცხოვრებას: კრიტიკის სინათლემ შემოანათა და ყველამ დავინახეთ, რომ დავკვირდებოდა და ამ ძილის დროს მტერს ბევრი ღვირძლი დაუთესია იფქლთა შორის საეკლესიო ყანაში; დავინახეთ, რომ ცხოვრებას განახლება, განწმენდა, შესწორება სჭირია. დადგა ჯერი, რომ ყველას ეთქვა თავისი სიტყვა, შეეტანა თავისი წვლილი ატეხილ შემოქმედებით მუშაობაში. კითხვები ახსნას თხოულობდა, გაუგებრობა—გაშუქებას, შეცდომა—შესწორებას. ცხოვრებამ დაუწყონებლივ მოითხოვა შეკრებილ-ვიყავით ყველანი, ვისაც კი ეკლესიურ სიცოცხლეზე გული სტკიოდა, ანგარიში მიგვეცა წარსულისთვის, გაგვეთვალისწინებია მომავალი, მოგვემართა დაეანგული ცხოვრების ბორბალი და ახალი ენერჯით, შეთანხმებული გრძნობა-გრძნობით კვლავ განგვეგრძო სიარული ქრისტიანულ სრულყოფისკენ. მე ვლაპარაკობ „საეკლესიო კრების“ აუცილებელ საქმიანობაზე. საეკლესიო კრება, ამ სიტყვის კანონიურ და ისტორიულ აზრით, სული და გულია ეკლესიის სიცოცხლისა. სადაც არა სცემს ეს მაცოცხლებელი გული იქ სიცოცხლე შეჩერებულია. სწორედ ამით აიხსნება, რომ ოქროს ხანა სასწაულებრავი შემოქმედებისა, მსოფლიო კრებებზე დაშენებულ-აქსოვილია. უამ-გულოდ შეუძლებელია ჩვენი ცხოვრების გამოცოცხლება-განახლება. მახსოვს, რა აღფრთოვანებით ვეგებებოდით საეკლესიო კრების მოწვევას, ყველას გვფხარებდა ეს დიდი ხნის უნახავი მერცხალი-მახარობელი ეკლესიურ ცხოვრების გაზაფხულისა. მას შემდეგ აგერ შევიდევ წელიწადი. კრება არსად სჩანს არ ისმის მისი ცხოველიყოფელი ხმა. მისი ბედ-

იღბალი თანდათან გაურკვეველ ბურუსში ეხვევა. მიუხედავად ამისა დღემდე არ შემწყდარა რალაც საგამოცანო წინასწარი მზადება მომავალ კრებისთვის. ჯერ კიდევ 1906 წელს მოიწვიეს ამ მიზნით ეგრეთ წოდებული „წინასწარი კრებები“. მთელი რუსეთის საღვთისმეტლო მეცნიერების უკანასკნელ სიტყვით აღტყურ-ვილი პირები მონაწილეობას ღებულობდნენ ამ დაწესებულებაში, უკვე დაიბეჭდა რადენიმე ვეებერთელა ტომი ამ კრების ნაშრომ-ნაკვლევისა. საქმე ამითაც არ გათავდა. 1912 წლის 28 თებერვლიდან არსდება უწ. სინოდთან მუდმივი წინასწარი სათათბირო სინოდის წევრთაგან სრულიად რუსეთის საეკლესიო კრების მოწვევამდე. უნებლიეთ გებადება კითხვა: რას ნიშნავს ამდენი წინასწარი თათბირი? რატომ არა აქვს საზღვარი ამდენს წინასწარ მზადებას? საინტერესოა, როგორ ხსნიან ამ მოვლენას მმართველ წრებთან დაახლოვებული პირები. დაუგდოთ ყური: „კრებას არ იწვევენ. ეს მოვლენა არ შეიძლება აიხსნას მხოლოდ კერძო პირთა და მოვლენათა გავლენით. ამის მიზეზი უფრო ღრმა და უფრო რთულია... ამ „ღრმა და რთულ“ მიზეზის გამოსანახ-გასამართლებლად ავტორს მოყავს შემდეგი სანიმუშო შემთხვევა რუსეთის წარსულ ისტორიიდან: „ეს იყო იმპერატორ ალექსანდრე II დროს. შესდგა კომისია, ანუ საბჭო ერთ ფრიად საყურადღებო საზოგადოებრივ საკითხის გამო. კომისიის თავმჯდომარედ დანიშნეს შინაგან საქმეთა მინისტრად ნამყოფი პ. ა. ვალუევი. შემოაქვს მოხსენება პ. ა. ვალუევიან ამ კომისიის საქმის მწარმოებელს ახალ-გაზდა გენერალს, იგი აღტაცებით მიისწრაფის ემსახუროს სამშობლოს იმ მიძიმე საქმეში, რომელიც კომისიას დაევალა. პ. ა. ვალუევი მოისმინა დინჯად მისი მშვენიერი მოხსენება, გაიარ-გამოიარა ოთახში და უთხრა: „იცი თქვენო უაღმატებულესობავ, ამ საქმის შესახებ საჭიროა კიდევ მოწვეულ იქმნას კრებები, დაიბეჭდოს მასალები...“ „მაქვს კანდიდატა მოვახსენო თქვენს მაღალ-უაღმატებულესობას, მიუგო ამაზე ვალუევი ღენერალ საქმის-მწარმო-

ებელმა, რომ კომისია ამ საქმის შესახებ ეს პირ-
ველი არაა. უკვე რამოდენიმე კომისია შესდგა
ამ საქმის გამო, განიხილეს საკითხი ყოველ-
მხრივ და თითოეულმა მათგანმა უკვე გამოუ-
შვა რაღდენიმე ტომი მასალებისა, ასე რომ
მთლად თორმეტი ტომია, რაც დაიბეჭდა. ვა-
ლუევი განაგრძობდა ოთახში სიარულს და
სდუმდა. ბოლოს შეჩერდა და დაუწყო შეგო-
ნება თავის ცხარე თანამშრომელს: „თქვენ
თქვენო უაღმატებულესობავ ახალგაზდა ბრძან-
დებით. ჩვენს უმაღლეს სახელმწიფო წყობილე-
ბას კიდევ არ იცნობთ... ნამდვილი რომ
ვსთქვათ, ჩვენ წინამდებარე შემთხვევაში თქვენ
სრულებით მართალი ბრძანდებით. მასალები
ამ საკითხის შესახებ დიდი ხანია, რაც შეიკრი-
ბა და მეტი არაფერია საჭირო. მაგრამ ხომ
მოგეხსენებათ, რომ ყოველ უმაღლეს სახელ-
მწიფო საქმეს უნდა შეეხედოთ ორი თვალსა-
ზრისით: ლოდიკურით და ტაქტიურით. პირ-
ველის მხრით თქვენ მართალი ბრძანდებით,
მაგრამ მეორეს მხრით ჩვენთვის უხერხულია ახ-
ლად შეუდგეთ კითხვის არსებით გადაწყვეტას.
უნდა დავაგვიანოთ საქმის გადაწყვეტა, მოვი-
გოთ ჟამი და შემდეგ დადგება კიდევ მოხერ-
ხებული დრო, როცა შეძლება მოგვეცემა საქ-
მე არსებითად განვიხილოთ... თუ დაიბეჭდა
უკვე მასალების თორმეტი ტომი, დაბეჭდეთ
კიდევ მეორე თორმეტი...“ (Голое перк. за
1912 г. 9.). გესმისთ? ამდენი წინასწარი მზა-
დება, რომელსაც მომავალ საეკლესიო კრების-
თვის ეწევიან, დროს წასაღები, თვალის ასა-
ხვევი, გულის გადასაყოლი წამალი ყოფილა!
ამის ეჭვი ჩვენ დიდი ხანია გვქონდა. ვისთვის
არის საჭირო ეს დროს წაღება?— რომ დაწყნარ-
დეს აზრთა მღელვარება, რათა აღდგენილ იქმ-
ნას შესაფერი ნდობა მწყემსთა და სამწყსოს
შორის და მაშინ დადგება შესაფერი დრო სა-
ეკლესიო კრების მოწვევისა, გვიპასუხებენ ვა-
ლუევის ტაქტიკის მიმდევარნი (იქვე გვ. 194).
დიად, ჯერ „დაამზიდება“ და მერე მოსმენა-
გარჩევა, ჯერ ტკივილების გაყუჩება და მერე
წამალი, ამ მოსაზრებით ამენებული ცხოვრე-
ბაა, რომ წინ გიძევსთ თავსამტკრევი, გასაკლე-

ვი. ექიმს მაშინ იწვევენ, როცა ავთმყოფი
შფოთავს და სწუხს. ეკლესიის გამომზაურება
მაშინაა საჭირო, როცა მას ეძახიან მისი სუ-
ლით მომყმარი შვილები. ჩვენ კი გვეუბნები-
ან: დეე შროდესთ და სწყუროდესთ ეკლესიის
შვილებს სიმართლისათვის! რა ეუყათ, რომ
ჩვენი ცოდვით ჰაერი მოწამლულია! დაე, წა-
ვიდეს ვისაც ვერ აუტანია გაჩერება ეკლესიის
ეზოში! ამას თხოულობს ვალუევის ტაქტიკა.
მაგრამ ამას ამბობს კი ქრისტე? არა. აქ საქმე
სხვა რაღაცაშია და ამ „რაღაცას“ ძებნაში
უნებლიეთ მაგონდება დიადი სიტყვები ღირს
სახსოვარის წმ. ბასილი დიდისა: „ქეშმარტე-
ბის ლალატის კარზე დგას იგი, ვინც ღვთის
მოყვარეებს პასუხს არ აძლევს ღმერთზე.“
ონოფრე მწირი.

ნამუსი.

ნამუსი სიწმინდე არის,
თვით ზეცის მონიბერია,
უმისოთ ჩირათ არა ღირს
ღვდელი, ერი და ბერია.
ნამუსი წმიდა ტახტია
ქრისტეს დიადი მცნებისა,
ღვდოფალია სულისა,
სიწმიდე აზროვნებისა.
ნამუსი არის ლამპარი,
თვით ზეცის მადლის ტაძარი,
ზნეობის წყარო სპეტაკი,
სიწმიდე მიუსადარი.
ნამუსი არის სიკვდილი
ყოველგვარ უზნეობისა,
ნამუსი არის სიციცხლოე,
თვით უკვდავება სულისა,
ნამუსი არის სიწმინდით
დამცველი ქალწულებისა,
მიზეზი ავხორც ვნებათა
შედეგის ასრულებისა.
ნამუსი ნაპერწყალია
გამღვივებელი მადლისა,
ალვირი ბოროტებისა,
მღვენელი ცოდვა-ბრალისა.

ჰოი ნამუსო ძლიერო,
 ნუ მოგვშორდები ნუროდეს,
 ჩვენ თუ უარ გყოთ, შენ მიინც
 ჩვენ შორის ყოფნა გწყუროდეს!

რ. საჯავახელი.

ძღვდლის ავტორიტეტი.

ძლიერ ბევრს ლაპარაკობენ დღეს ხალხის თვალში მღვდლის ავტორიტეტის დაცემა-დაქვეითებაზე და მისვე აღდგენა-ამაღლებაზე.

მიზეზებსაც ბევრს ასახელებენ, მაგრამ მათ შორის, ყველაზე უმთავრეს მიზეზათ, გარდა საზოგადოთ სარწმუნოებისა და მისს წარმომადგენელთაღმრ გულ გრილობისა, უნდა ჩათვალოს არსებული წესი სამღვდლოების, კონებრივად დაკმაყოფილებისა.

ნამდვილ არ ვიცით არც ერთი მოსამსახურე, რომელიც ისეთ დამოკიდებულებაში იყოს დაყენებული, როგორც სამღვდლოება.

მღვდელმა ერთი ხელით მადლი უნდა ჰქნას და მეორე ხელით ამავე მადლში ფული უნდა ითხოვოს! აი რა ამცირებს ხალხის თვალში სამღვდლოებას და რა აქვეითებს მისს ავტორიტეტს. ვიმეორებ, რომ სხვა მიზეზებიც ბევრია, რომელნიც ამცირებენ მღვდელს და მისს ავტორიტეტს ხალხის თვალში; მაგრამ პირველი და უმთავრესი მიინც ეს არის. განა ცოტას შეხვდებით დღეს მომჩივანს ამა და ამ მღვდელმა, ამა და ამ მღვდელმოქმედებაში ბევრი გადამაზღვეინაო, ამაზ გამტყავაო და სხვა ამისთანას?

ეს, დღევანდელი ეკონომიურ დროში, უცნაური ნიეთიერად დაკმაყოფილება სამღვდლოებისა კიდევ ბევრ ხანს იქნება სამღვდლოების გამაშავებელ-დამამცირებელი. და მართლაც რა იქნება ამაზე უარესი: ზიარებისთვის გამოართვი, მირონცხება-ნათელისათვის გამოართვი, გამოართვი წირვა-ლოცვა-ვედრებისათვის, ქორწინებისა და წესის აგებისათვის. შენ გამოართვი, ხოლო იმან გაძლიოს ისე ნშირად, რამდენადაც მრავალმხრივია ქრის-

ტიანის ოჯახში მღვდელ-მოქმედების საკიროება.

ძლიერ გულსატკენ და საჩოთირო გარემოებათ რჩება, ეს კურთხევა-მადლით ვაქრობა ორივე მხარეს. იტყვიან: მღვდელი თუ იღებს, გული რათეტკინებაო. მაგრამ, მერწმუნეთ, თუ იგი ნამდვილი მღვდელია და არა მპარავი, გულიც ეტკინება და სინდისიც ეტანჯება, მაგრამ რა ჰქნას? „გაჭირვება მიჩვენე, გაქცევას გიჩვენებო“.

ძნელია ფული აძლიო მადლში და კურთხევაში, მაგრამ უფრო ძნელია მათშივე ფასის აღება. მემრე ვისგან? წარმოიდგინეთ ამ გგარი შემთხვევა, რომლის მხგავსი მღვდელს თავის პრაქტიკაში ასი და ორასი შეხვდება: მოკვდა ღარიბ და წვრილ შვილის პატრონი ოჯახის მამა, გაასვენეს, წესი აუგეს და მიწას მიბარეს. ამ დროს, ყველა იმის ფიქრშია, თუ რითი ანუგეშონ და რით შეეწიონ უსახსროდ დატოვებულ მის ოჯახს. მაგრამ აქვე, (აი მღვდლის ავტორიტეტის დამცემი და მისი დამამცირებელი სურათი!) ჯერ კიდევ ცრემლებ შეუშრობელი ქვრივი თავის ობლებით, რომელნიც ხელს არ აშორებენ დედას, ესეც სიკვდილმა არ გამოგვგლიჯოს ხელიდგანო, მიღის მღვდელთან და ეკითხება: „მამაო, დღევანდელ წესში რა გერგება და საწირავს რას მთხოვ?“

რას იტყვით აქ, ბატონებო? მღვდლის გული ხომ ქვა არ არის? ამ სურათში ის, ვინც მეტს უნდა ზრუნავდეს დაცემულ ოჯახისა და ობლებისათვის, გამოდის გამტყავებელ-შეუბრალებელი, ამისთვისაც იყო, რომ ძველად რომელმა სვეტონმა სთქვა: „Egrum boni pastori non deglubere“—კეთილი მოძღვრის საქმეა ტყავს არ აძრობდესო. მემრე რა უჭირს ასეც მოიქცესო, იტყვიან საქმეში ჩაუკვირებელნი. მაგრამ რამდენ ხანს? რომელ ერთთან?

ზემონათქვამი სიტყვები ადვილი სათქმელი, იმათთვის, ვისაც ჩვენი სოფლის სამღვდლოების და მრევლის ცხოვრებისათვის თვალ-ყური არ უღვენება. ჩვენი სამღვდლოება ხომ კათოლიკეთა სამღვდლოება არ არის; ჩვენში მღვდელს ოჯახობა და კოლ-

შეილი ჰყავს და იმათ ხომ რჩენა უნდა? და მეგრე დღევანდელი მოთხოვნისა და გვარად რომ იზრუნოს მღვდელმა ოჯახზე, მისი ჯამაგირი და შემოსავალი განა ნახევარ წელიწადს მიჰყვება მას?

თუ რას შეადგენს ჩვენებური სოფლის მღვდლის შემოსავალი, ამაზე ბევრჯერ თქმულა და დაწერილა, და ამიტომ აღარას ვიტყვით. რომ კიდევ ვსთქვათ, ურწმუნონი, რომელთაც აქამდისაც არ დაუჯერებიათ, არც ეხლა დაიჯერებენ მას, რომ ეს მღვდლის ტყავის გამძრობლად მონათლავი შემოსავალი - ჯამაგირი რკინის გზის მეისრის და დარაჯის ჯამაგირზე მცირეა და თანაც მეისრეს და დარაჯს გაცილებით უფრო გაუმჯობესებული საცხოვრებელი მდგომარეობა აქვს, ვინემ მღვდელს. მეისრეს და დარაჯს, გარდა ჯამაგირის, ბინის, შემოსავლის, განათების, მუქტი წასვლა-წამოსვლის და წამლისა, ექიმიც მუქტი ჰყავს, რომელსაც ჩვენი სოფლის მღვდელი, ისიც მიყრუებულ კუთხეებში, თუმანოვს მანეთ ნაკლებ ვერ მიიყვანს ოჯახში ავთომყოფის სანახავათ. ყველა ამასთან მეისრეს და დარაჯს, საშრომი დროც განსაზღვრული აქვს, რომლის შემდეგ უბატონოთ ხმასაც ვერ გასცემს უმფროსი. თან წელიწადში ერთი-ორი თვით შესვენების დროსაც მისცემენ. ამავე დროს მღვდელს ავთომყოფობისაგან მორჩენის უფლებაც არა აქვს, თუ თავის მაგიერი მღვდელი არ დასტოვა მრევლში და ისიც ხელწერილ ჩამორთმევით.

რკინის გზაში მოსამსახურეებს ეგრედ წოდებული „ზაპასნი“ მონაცვლები ჰყავთ, ხოლო სამღვდლოებსაც კი მთელ ეპარქიის სივრცეზე ერთი თავისუფალი მონაცვლეც არ ჰყავს. ამ გვარად ყოველი მოსამსახურე განსაზღვრული დროით და ჯამაგირით მსახურებს და საცხოვრებელი პირობებიც შეღავათიანი აქვს, მღვდელმა კი საჩუქრით უნდა იცხოვროს და ისიც დაუცხრომელ თხოვა-ღრტიანით. დამერწმუნეთ, უამისოთ არაფერს მოგცემს. ადვილად შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, თუ რა გვარად იმოქმედებს მღვდლის ავტორიტეტზე ეს თხოვა-ღრტიანი.

ახალგაზდა მღვდელი პირველად შეჩერდება, სანამ შიმშილი თავისას არ გაიტანს, შემდეგ უნდა უკუაგდოს ყოველივე ის ბავშობიდან შესისხლ-ხორცებული წარმოდგენა შეცოდება-შებრალებაზე, რომელიც ასე ძვირფასია მისთვის.

ბევრ კეთილ იდეას უნდა გაუთხაროს მან სამარე, თითქმის ყოველივე დამოუკიდებელი აზროვნება უნდა დაჰკარგოს, შებორკილდეს ჯაჭვით და მივიდეს ლუქმისათვის მონად მრევლთან. ამის შემდეგ კიდევ შეუძლია მღვდელს, ამხილოს, შერისხოს, დაარიგოს და უქადაგოს შებრალება, შეცოდება, სიყვარული?

რა გავლენა ექნება მის ქადაგება - დარიგებას, როდესაც სიტყვით სხვას ამბობს და საქმით სხვას შერება? ეს არა ნორმალური გარემოება ბევრ ქუადამჯდარ და ცხოვრებაში ჩახედულ მორწმუნეს აფიქრებს და ზიზღისა და დაცინვის ნაცვლად, სკდილობს სამღვდლოება ამ მოუხერხებელ მდგომარეობიდან გამოიყვანოს, მაგრამ ხელს შემშლელებიც ბევრი ჰყავს.

მართალია ბევრი რჩევა-დარიგება იწერება ამ ავტორიტეტის აღდგენისათვის, მაგრამ რესკინის სიტყვისა არ იყოს, ისინი ძლიერნი არიან კაბინეთში, ხოლო ცის ქვეშ კი სუსტნი.

მივიღოთ სიმართლეთ, ის ზოგიერთების აზრი, რომ განსაზღვრული და დამაკმაყოფილებელი ჯამაგირი მღვდელს ვერ შექმნის ნამდვილ ავტორიტეტით მოსილ მოძღვრად, ისე როგორც მეომარს სურსათი და იარაღი ნამდვილ გმირად, თუ მას მამულის სიყვარული არ აღფრთოვანებს, მაგრამ ისიც მართალია, რომ მეომარი უიარალოთ და უსურსათოთ მარტოოდენ აღფრთოვანებით ვერ მიადრწევს მიზანს. ხოლო თუ ორივეთი აღჭურვილია, მაშინ მას რა დაუდგება წინ?

ბევრი არსებულ წესს სამღვდლოების დაკმაყოფილებისას წესიერად სთვლის და გარდა დიდი ხნის მისი პრაქტიკისა, მოჰყავს მაცხოვრისა და მოციქულის სიტყვები, რომ მუშაკიდრისა სასყიდლისა, რომ სახარების მქადაგებლათ

სახარებოთვე იცხოვრონო და „რომელი იგი ბაგინსა მსახურებენ, ბაგინისაგან სჯამონ“ო. მაგრამ მათ ავიწყლებათ იმავ მოციქულის სიტყვები, რომელიც ამბობს. „თუმცა, როგორც ვამბობ, ამის ნება მქონდა, რომ თქვენგნიც მიმელო საზრდო, მაგრამ არა ვინებეთ ხელმწიფება ესე, რამეთუ ყოველივე დავითმინეთ, რათა არა დაბრკოლება რაიმე ვსცეთ სახარებასა მას ქრისტესსა“. და მეორეგან, — „არა თუ არა გვაქვს ხელმწიფება, არამედ რათა თავი თვისი სახედ მივცეთ თქვენ, რათა მბაძვიდეთ ჩვენ“. თუ ამას ამბობს თავი მოციქული ქრისტესი, რაღა უნდა ჰქნას დღევანდელმა მღვდელმა, რომ „დაბრკოლება არ სცეს სახარებასა მას ქრისტესსა“.

მიეცით კარგ მღვდელს განსაზღვრული საკმაო ჯამაგირი, საიდგანაჲ უნდა იყოს, (იგი არ გახდის მას „ჩინოვნიკად“, როგორც ზოგიერთები ჰფიქრობენ) და მაშინ ის ყველაფერს რიგზედ გაეკეთებოს, მაშინ ის არ უწირავს ერთს აბაზათ, მეორეს მანეთად, მესამეს თუმნად, არამედ სინდისისა და სარწმუნოებისათვის; მაშინ ის ზიარებას და მირონცხებას არ გაჰყიდის, წირვა-ლოცვა-ვედრებაში არ იგაჰრებს. მაშინ მას დღიურ ლუკმაზე ზრუნვისათვის ნაკლები შრომა და დრო დასჭირდება და მთელ თავის ძალღონეს მონადომებს, თავის მოციქულებრივ მოვალეობას და თავის განვითარება-მომზადებას ამ საქმისათვის. მაშინ უფლებაც გვექნება მღვდლისაგან მეტიც მოვითხოვოთ, ხოლო მანამდის კი, როგორც გინდათ არჩიეთ, მღვდელი მაინც ივლის იმ ქაცვიან გზაზე, რომელზედაც, მიუხრებლ-მოუხრებლად, ხშირად გაკაწრავს ცხოვრების ქაცვის ეკალი.

იათეოზი.

პრიტიკული შენიშვნები.

(„გრდემლი“, სალიტერატურო კრებული. წიგნი 1.)

„გრდემლში“ მეორე ადგილი უჭირავს **ბ. ცახელის** გაღიქსილ ამბავს „საბრალო ბაბუა“.

ცახელი საკმაოდ ცნობილია ქართველ პოეტთა შორის თვისი ლამაზი, ნაზი ლექსებით, ნამეტურ ბუნების სალიტერატურო ფორმებში დახატვით. იგი პირველად სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა გასული საუკუნის 80-იან წლებში „დროების ფურცლებზე“, როცა მე თფილისის სემინარიაში ვსწავლობდი. მას პირადათაც კარგად ვიცნობდი და მისი ნიჭის გაფურჩქნას ყოველთვის ყურადღებას ვაქცევდი.

მაგრამ ხელმოკლეობისა გამო, თუ სხვა რამ გარემოების მიზეზით, ეს ნიჭიერი ახალგაზდა კაცი, ერთს დროს კაი სურვილებით და იდეალებით გატაცებული, წინ ველარ წავიდა, ვერ მოგვცა ისეთი ლექსები, რომელნიც მაისის დილის ცერებრით, მალე, უნიადაგოთ არ გამქარალიყვენ და რაიმე ხანგრძლივი ჩაბეჭდილება დაეტოვებინებიათ შკითხველის გულში. ვიმეორებ, ცახელის ლექსები სალიტერატურო ფორმით თითქმის უნაკლულონი არიან და ეს გარემოება ბევრს რასმე ამბობს იმისი ნიჭის სასარგებლოთ. მაგრამ ნამდვილი და ქეშმარიტი მგოსნის სახელის დამკვიდრებისთვის ლიტერატურაში, მიუცილებელად საჭიროა, რომ ფორმების შესაფერი შინაარსი ქონდეს ლექსებს და ეს შინაარსიც ხელოვნურად სისრულით დამუშავებული იყოს ამასთანავე ლექსებში უპირველესად საჭიროა სურათები და ხასიათების გამოხატვა.

მართალია, ცახელს აქვს ერთი საკმაოთ მოზღლილი პოემის გვარი ნაწარმოები, სახელდობრ „გურგენ რაინდი“, მაგრამ ის ორიგინალური ნაწარმოები არ არის და, მაშასადამე, დიდს ვერაფერს გვეუბნება ინდივიდუალური ტალანტის სიღრმე-სიგანის გასაზომად. ანაირად, ცახელი, თუმცა, მართალია, ლამაზი ლექსების მწერალი პოეტია, მაგრამ შინაარსით იგი მეტად ღარიბია. ეს არის მთავარი მიზეზი იმისა, რომ ცახელის ლექსნი ჩაბეჭდილებას ვერა სტოვებენ და უნიადაგოთ ჰაერში ჰქრებიან „ერთა სიზმარი ღამისა“.

პოეზია, საზოგადოთ, და ლირიკული საკუთრად ყოველთვის სურათებით ნატავს თავის აზრებს და გრძნობებს და ჩვენი პოეტი ცახელი ამდენი ხნის განმავლობაში უნდა ცდილი-

ყო-მოცეა ჩვენთვის სურათებათ დახატული ფსიხოლოგიურად ერთი რაიმე იდეა, აზრი, ან შეექმნა ერთიანი ფსიხოლოგიური ხასიათი, რომ იმის ტალანტის ცნოველმოყოფელობაზე სალიტერატურო კრიტიკას შეედგინა მთლიანი, სწორი და ნამდვილი უტყუარი შეხედულო-ბაც..

„საბრალო ბაბუაში“ ცხოვრების ნამდვი-ლი ამბავიც არის გადმოცემული და პოეტის საშობლო რაჯის სურათი, იქაური ზამთრის სისასტიკე, ქარიშხლის ზუზუნის მხატვრულა-დაც აქვს აღწერილი სწორედ ისე, როგორც ყოველთვის სწევია ცახელს ბუნების სტიქიო-ნის შეწინააღმდეგებელი გამობატვა. მაგრამ „საბრალო ბაბუა“, როგორც მთლიანი სალი-ტერატურო ნაწარმოები, ძალიან სუსტია, და-რიბი და დიდს ჩაბეჭდილებას ვერა სტოვებს გემოგავითარებულ ადამიანის გულში..

ამბავი მშრალად არის გადმოცემული, ძა-ლიან მარტივი ფერადებით შეკინძული და მთელი შინაარსი და ამ შინაარსის დამუშავე-ბაც ერთობ ღარიბია ფსიხოლოგიურად და უსი-ცოცხლოა. ამიტომაც ცახელის ახალი პოემა ღრმად ვერა სწვდება მკითხველის გულს და ცხოველ-მოყოფელს არაფერს ეუბნება ადამი-ანის სულს..

ამასთანავე ამ პოემაში ენაც მოიკოჭლებს: „კორდი კორდსა ჰგვანს, სერი სერს..“

რა სიტყვაა—ჰგვანს? რა საკვირველია, უნდა იყოს გავს და სხ.

დ. კლდიაშვილის „თავადი პეტრე“ ძა-ლიან პატარა ესკიზია. მაგრამ იგი ძალიან ბევრს ეუბნება მკითხველის გრძნობა-გონებას. ნიჭიერ-მა პეტრომა კობტა, თავისებური ენამახვილო-ბით გადაგვიშალა ერთი ფურცელი ჩვენი წარ-სული ცხოვრებისა და გვითხრა, თუ რა „სწე-ვია ძველთაგან“ ზოგიერთ გვარს ჩვენს არის-ტოკრატიაში..

ქართლ-კახეთის და იმერეთის თავადო-ბას მეც ძალიან დავკვირვებივარ და შემინიშ-ნავს, მართლაც, რომ ზოგს გვარს „ძველთა-გან სწევია“ ვაეკაცობა და გულადობა, ზოგს დიდი მჭერმეტყველობა და ენა წყლიანობა,

ზოგს—სიმღერები და საარაკო ლხენა, ზოგს მეტის-მეტი შურიანობა, გაუტანლობა და ჭინ-კული ხასიათი, ზოგს მწიგნობრობა და მწერლო-ბის ნიჭი, ზოგს—ქველმოქმედება და დიდი მო-წყალების გაცემა, ზოგს—რა და ზოგს—რა.

მაგრამ ამას კი ჩემს დღეში ვერ წარმო-ვიდგენდი, თუ „თავადი პეტრეს“ გვარში შე-რისძიების ასეთი მაგალითიც მოიძებნებოდა.

სიმონ ბატონიშვილის დაცინვამ მანუჩარს თავად პეტრეს წინაპარს—შურის ძიებით შეპ-ყრობილს ერთხელ გიჟურად წამოაძახებინა:

— განანებიებ, თავებდო!.. თუ კაცი ვყო-ფილვარ, განანებიებ... განანებიებ!

ეს უღმერთო მანუჩარი სვიმონის უმანკო შვილს, რომელიც მახლობელ მონასტერში იზრ-დებოდა ბერებთან, თავის სასახლეში მიიპატი-ეებს.. და თან კაცს აფრენს სვიმონთან, „სა-ჩუქარიც გაუგზავნა შეწინააღმდეგებელი პატარა კოლო-ფით.“

სვიმონმა და იმისმა მეუღლემ „გახსნეს კოლოფი... მტერსაც არ ენახოს ის, რაც იმათ ნახეს. კოლოფში მათი შვილის მოჭრილი თა-ვი იღვა“...

ხომლელი.

შემდეგი იქნება.

ბედნიერება.

(არაკი რუსულითგან).

ერთხელ ერთმა ღიღმა მეფემ გასცა ბრძა-ნება მოეგვარათ მისთვის მის სამეფოში მცხოვ-რებნი ბრძენ-მეცნიერნი და როდესაც ეს უკა-ნასკენელნი, შეიკრიბნენ ჰკითხა მათ თუ რა-შია ბედნიერება?

— იმაში— მიუგო სწრაფათ პირველმა, — რომ მუდამ ხედვიდე შენი ღვთიური სახის ბრწყინვალეობას და მუდამ გრძნობდე....

— ამოსთხარეთ მაგას თვალები—ბრძანა მეფემ.

— ბედნიერება უფლებების ქონაა. შენ, მეფე, ბედნიერი ხარ! შესძახა მეორემ.

მაგრამ მეფე მწარეთ დაიღრია და უკა-სუხა:

— მიუხედავად იმისა, რომ მეფე ვარ და

ძალა-უფლება მაქვს, მე ვიტანჯები ბუასი-ლით და ვერაფრით მომირჩენია ის. ამოგლიჯეთ მაგ წუწკს ნესტოები:

— სიმღღრეში, სთქვა ენის ბორძიკით შემდეგმა. მაგრამ მეფემ უპასუხა: მე მდიდარი ვარ, მაგრამ მიუხედავად ამისა შენ გეკითხები თუ რაში მდგომარეობს ბედნიერება. გეყოფა თუ არა შენ შენი თავის წონა ოქრო?

— ოჰ, მეფეე!...

— შენ მიიღებ მას. ჩამოკიდეთ მაგ ლატაკს მისი თავის წონა ოქროს ზოდი კისერზე და ჩაავდეთ ზღვაში.

— აბა მეოთხე მომგვარეთ, ბრძანა მეფემ.

მაშინ შემოფოფხდა მუცელზე დაყრდნობილი ერთი დახეულ-დაძონძილი ადამიანის მსგავსი არსება და წაილულლულა:

— ოჰ, ბრძენთა-ბრძენო! მე ძლიერ ცოტა მინდა. შვიერი ვარ, გამაძლე და მე შევიქნები ბედნიერი და ვაქებ-ვადიდებ შენს სახელს მთელ დუნიაზე.

— გააძლეთ ეგ და როცა ნაყოფანები-საგან გადაიკვალოს მოდით და მითხარით, ბრძანა მეფემ.

შემოვიდნენ კიდეც ორნი. ერთი იყო ზორბა, წამოსადეგი, ჯან-ლონით სავსე და თურა-შაულივით ლეუდა; მან ამოხუნუნით სთქვა:

— ბედნიერება შემოქმედებაშია.

მეორე იყო უფერული, სუსტი და მეტის-მეტი გამხდარი. იყო პოეტი. ამაღ სთქვა:

— ბედნიერება ჯანმრთელობაშია.

მეფემ ნაღვლიანათ გაიღიმა და სთქვა:

— თქვენი ბედ-იღბლის შეცვლა რომ ჩემ ხელთ იყოს, მაშინ ერთი თვის შემდეგ შენ, პოეტო, შესთხოვდი ღმერთს შემოქმედების ნიჭის მოგვრის შესახებ და შენ კი, ჰერკულესის მსგავსო, ირბენდი ექიმებთან სხვა და სხვა წამლებისათვის. წადით ორთავე შვიდობით.

ენს ხართ მანდ კიდეც.

— უბრალო მამაკვლავი, — სთქვა ამაყით მეშვიდემ. — ბედნიერება უარსებობაშია.

მოჰკვეთეთ მაგას თავი, ხარმაცათ ბრძანა მეფემ.

— მეფეე, ოჰ, მეფეე, მაპატიეთ! მე ამისი თქმა არ მინდოდა.

მაგრამ მეფემ მოკლეთ გასცა იგივე ბრძანება.

კიდეც პრავალი მოდიოდნენ. ერთმა მათგანმა სთქვა:

— ბედნიერება ქალის ტრფობაშია.

— კარგი, დათანხმდა მეფე. მიჰგვარეთ მაგას ჩემი ქვეყნის ასი ულამაზესი ქალწული, მაგრამ ამასთანავე მიუტანეთ კიქა საწამლაოვით და როცა დადგეს დრო მითხარით. მე მივალ და დავსტკებები მისი მძორის ყურებით.

კიდეც ერთმა სთქვა:

— ბედნიერება იმაშია, რომ თითოეული ჩემი სურვილი იმ წამსვე სრულდებოდესო.

— აბა, მითხარი, ამ წამს რა გსურს შენ? ცბიერათ ჰკითხა მეფემ.

— მე?

— ღიახ, შენ.

— მეფეე, კითხვა სრულიად მოულოდნელია.

— დამარხეთ ეგ ცოცხლათ მიწაში. ბრძანა მეფემ.

— აბა, კიდეც ერთი ბრძენთაგანი! მომი-ახლოვდი; იქნება შენ იცი, რაშია ბედნიერება?

ბრძენმა — და მართლაც ის ნამდვილი ბრძენი იყო — უპასუხა:

— ბედნიერება ადამიანის აზრის სიმშვენიერეშია.

— ერიპა, ადამიანის აზრი! რა აზრის ადამიანის აზრი? მრისხანეთ შესძახა მეფემ.

მაგრამ ამ კითხვის გამგონმა ბრძენმა სიბრაღეულით გაიღიმა და არა-რა მიუგო.

მაშინ მეფემ ბრძანა ჩაეგდოთ ის ისეთ ჯურღმულში, სადაც არც სინათლე ჩადიოდა და არც ადამიანის ხმა ისმოდა და როცა ერთი წლის შემდეგ მიჰგვარეს ეს დაყრუბულ-დაბრმავებული, ნახევრად მკვდარი ტყვე მეფეს, ამ უკანასკნელმა ჰკითხა:

— ეხლაც კიდეც ბედნიერათ სთვლი შენს თავს?

ბრძენმა დინჯად უპასუხა:

— ღიახ, მე ბედნიერი ვარ. ჯურღმულ-

ახალი ჟურნალი „განთიადი“

1913 წლის ზირველი იანვრიდან

ქ. ქუთაისში გამოვა ქართული ჟურნალთა ჟურნალი

„განთიადი“

ჟურნალში იქნება შემდეგი განყოფილებანი: 1) ღვთისმეტყველება და ფილოსოფია; 2) არქეოლოგია და ისტორია (სამოქალაქო და საეკლესიო); 3) პოლიტიკა და ეკონომია; 4) მედიცინა და ჰიგიენა; 5) ბელეტრისტიკა და პოეზია; 6) სასოფლო მეურნეობა; 7) კრიტიკა და ბიბლიოგრაფია; 8) შინაური და უცხოეთის მიმოხილვა; 9) სახელმწიფო, საბჭოსა და სათათბიროს, და სხვა სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებათა ანგარიში; 10) მამათა ცხოვრება; 11) მოძღვრებანი და ქადაგებანი მთელი წინამდებარე თვის უკმი დღეებისა. ჟურნალი გამოვა ყოველ თვის პირველ რიცხვებში და ელირება: წლიურათ 5 მანეთი, ნახევარი წლით 3 მანეთი, ოთხი თვით 2 მანეთი და 10 შაური; ცალკე ნომერი ყველგან 10 შაური. „შინაურ საქმეებზე“ ხელის მომწერლებს ჟურნალი წლიურათ 4 მანეთად დაეთმობათ, ამავე ფასში ეთმობათ ჟურნალი სახალხო შკოლების მასწავლებლებს და სახალხო უფასო სამკითხველოებს. წერაკითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას თავის შკოლებისათვის ჟურნალი 3 მანეთათ და 10 შაურათ ეთმობა. ჟურნალის დაკვეთა შეიძლება დღეიდგანვე ქ. ქუთაისში ი. კვიციანიძის გაზეთების კანტორაში, მთავრიშვილის და აშხ. წიგნის მაღაზიაში და რედაქტორთან. წლიური ფასის გადახდა ნაწილნაწილადაც შეიძლება: ხელის მოწერის დროს სამი მანეთი და პირველ ივნისს 2 მანეთი.

რედაქციის ადრესი ქ. ქუთაისი რედაქცია „განთიადი“.

რედაქტორ-გამომცემელი მღ. ს. მკვლიძე.



ში ჯდომის დროს მე ვიყავი მეფეც, მდიდარიც, შეყვარებულიც, მძღარიც და მშვიერიც, და ყოველივე ამას მე მიძლედა ჩემი აზროვნება.

— რა არის მერე ეს აზრი? მოუთმენლად შესძახა მეფემ. იცოდე, რომ ხუთი წუთის შემდეგ მე შენ ჩამოგაღრჩობ და შევაფურთხებ შენ წყვეულ სახეს და ნუ თუ მაშინაც განუგეშებს შენ შენი აზრები? და ან სად იქნება მაშინ შენი აზრები, რომლებიც შენ ამ ქვეყნათ განფანტე?

ბრძენმა მშვიდით უპასუხა:

— უგუნურო, ნუ თუ არ იცი, რომ აზრი უკვდავია!..

მღ. ს. კეკელიძე.

კიდევ საფირჩხიის სასაფლაოზე.

ჩვენ სრულებით, არ მოველოდით, რომ მ. ბლაღოჩინი, გამგე და პატრონი საფირჩხიის ეკლესიის და სასაფლაოსი, ასიგაფიცხდებოდა, და გაწიწმადებოდა. ან რა იყო ჩვენ წერილში ამის ფასი? ჩვენ იქ არაფერს არ ვამტკიც-

ცებლით, არამედ ვარაუდით ვანგარიშობლით, რომ სასაფლაოს სამასი თუმანი უნდა შეუღოდეს წელიწადშითქო. ამ ვარაუდს დღესაც ვერ ვეშვებით: ჩვენ გვგონია, რომ ჩვენი თვალთახედვა არ გვატყუებს: სასაფლაო მიცვალეზულეზით არის გაცენილი, ფეხის დადგმა ადგილი აღარ არი თავისუფალი პირველი ხარისხის სასაფლაოებში, ამის ყველა ხედავს, ვინც კი ოდნავ იმზირება და ჩვენი ვარაუდის უმთავრესი საბუთიც ეს არის და სხვა არაფერი. ჩვენ მ. დულაძის წიგნებში არ ვიყურებით, რომელიც შეიძლება, და დარწმუნებულიც ვართ, ძალიან სუფთად ნაწარმოებიც იყოს. მაგრამ რას ნიშნავს წიგნი იქ, სადაც მიცვალეზულები თვით ლაღადებენ სასაფლაოს შემოსავალზე. დაითვალეთ სათითაოდ საფლავეები და ისინი გეტყვიან, რომ დღეში ერთი მეორეზე 8-9 მანეთი უნდა შემოსვლოდა სასაფლაოს. ძალიან კარგათ მოქცეულია ბ. რედაქტორი, რომ მ. ბლაღოჩინის ცხრილი არ დაუსტამბავს, რადგან ასეთი ცხრილი ვერავის დაარწმუნებდა საქმის ვითარებაში. თუ მამა დუგლაძეს სურს ჩვენი დარწმუნება, პირის დაყოფა, ურჩევთ, მოითხოვოს ფაქტიური რევიზია, რევიზია საქმისა და არა წიგნებისა, აღინუსხოს ყველა ქუთაისის ეკლესიების წიგნებიდან, რამდენი მიცვალეზული დამარხულა ამ სასაფლაოზე დღიდან მის სასულიერო უწყებაში გადასვლისა და რამდენი უნდა შემოსვლოდა სასაფლაოს ფული. მე ვფიქრობ ასეთი რევიზია ნათელს მოაფენს საქმეს და ჩვენ ვარაუდით ანგარიშსაც გაამართლებს. მხოლოდ ამ გზით გამორკვეულ სიმართლეს ენდობა უკმაყოფილო საზოგადოება და არა ბ. ბლაღოჩინის ცხრილს.

ჩვენ არც იმას ვამტკიცებთ მაინც და მაინც, ვითომ აქ რამე ბოროტ-მოქმედება იმალებოდეს, მაგრამ ეკვიანობას უეჭველობა სჯობია.

მოკეთე.

დეკანოზს კითხვები ბერიძის კარდაცვალების გამო.

20-ს აგვისტოს 1912 წელსა მ ძიმე ავთ. მყოფობის შემდეგ ვარდიცვალა ს. გურძემში

ალავერტის წმიდის გიორგის ეკლესიის დღით პატივცემული დეკანოზი გიორგი ბერიძე. განსვენებული, მხოლოდ 66-ის წლის იყო, ასე რომ მას კიდევ შეეძლო ბევრი სარგებლობა მოეტანა სამშობლოსათვის თავის ღვთისაგან კურთხეულ ნიჭით და დაუღალავი მეცადინეობით, მაგრამ ამ მეცადინეობამ და მეტისმეტმა შრომამ იგი ძლიერ დაასუსტა, და უდროვით გამოასალმა წუთისოფელს. განსვენებულმა დაამთავრა მეგრელიის სასულიერო სასწავლებელი 1863 წელში. შემდეგ მსახურებდა მეგრელიის და იმერეთის საეპარქიო კანკლარიებში მწერლად 1863 წლიდან 1873 წლამდე. ხელდასხმულ იქმნა დიაკვნად სახელსა ზედა ალავერტის წმიდის გიორგის ეკლესიისა. ეკურთხა მღვდლათ ამჟვე 1870 წ. ალავერტის წმიდის გ. ეკლესიის სახელზე. 1874 წ. დანიშნულ იქმნა ბლაღოჩინად და ამ დღიდან დამოკიდებული, როგორც მღვდლათ აგრეთვე ბლაღოჩინათ მსახურებდა ვიდრე ვარდაცვალეზამდე, თუმცა ფიზიკურად სხვა და სხვა ავთამყოფობა სტანჯავდა. თუმცა სენაკიდან და მარტვილიდან შორს სახლობდა, მაგრამ, როგორც ერთგული დამცველი სამღვდლოების და მოწაფე ახალგაზღობის ინტერესებისა, არა ერთ გზის იყო აღრჩეული მარტვილის და სენაკის სასულიერო სასწავლებელში სამმართველოს წევრად სამღვდლოებისაგან. ვარდა ამისა არ ყოფილა ისეთი კრება სამღვდლოებისა, სანამ ყურთა სმენა არ დაეკარგებობოდა, რომ ის არ ყოფილიყოს აღრჩეული კრების თავმჯდომარედ. ეს ნიშანია იმისა, რომ არამც თუ მისი საბლაღოჩინო სამღვდლოება, არამედ სხვა მთელი ეპარქიის სამღვდლოება დიდს პატივს სცემდა მას და აფასებდა როგორც ნიჭიერ კაცს და სამაგალითო მოღვაწეობას განსვენებული დანიშნული იქმნა ხუთი საბლაღოჩინო მაზრის სამრევლო სკოლების მეთვალყურეთ 1884 წ. საერთოდ როგორც ბლაღოჩინი და მეთვალყურე დიდ ყურადღებას აქცევდა სამრევლო სკოლების გამრავლებას ეპარხიაში. ამიტომ მისი დაუღალავი ენერჯის წყალობით არა ერთი და ორი

სამრევლო შკოლა გახსნილა, როგორც მის საბლალოჩინოში, ეგრეთვე მთელ ეპარხიაში. გარდა ამისა, როგორც სჩანს წამსახურობითი სიიდან მისი მეცადინეობით აღშენებულია 33 ეკლესია. ამისთანა დაულალავ ენერჯიას და პატიოსან სამსახურს დიდათ აფასებდენ ყველა ადგილობრივი მღვდელმთავრები, რისთვისაც მის დიდ მადლობის სწირავდენ სხვა და სხვა ჯილდოთი, ასე რომ ამ ორი წლის წინეთ მან მიიღო ენქერი. გარდა მისი სამღვთო მოვალეობისა კერძო ცხოვრებაშიდაც, როგორც მოქალაქე და ადამიანი, დაუფასებელი და სამაგალითო იყო განსვენებული. ის იყო მდგარი ხასიათისა, პირდაპირი, უშიშარი, უკანონობის და უსინდისობის მტერი, ქვრივობოლთა დამხმარე და შემწე. არა ერთი და არი გაქირვებული უკულმართი ცხოვრებისაგან დაუხსნია მას ამ მდგომარეობიდან. მთელ სამეგრელოში არ დაწყებულა არც ერთი სასარგებლო და კეთილი საქმე, რომელშიდაც მას მხურვალე მონაწილეობა არ მიეღოს. ამასთან არ შემოძლია არ აღწინაშა ერთი შემთხვევა: ამ რამოდენიმე ათი წლის წინეთ ზოგიერთ გადაგვარების მოსურნე პირთა წყალობით სამეგრელოში უნდა შემოეღოთ მეგრული წირვა ქართულის მაგიერ, რის გამო შესდგა კომისა, რომელმაც მოითხოვა აზრი ყველა ბლალოჩინებისაგან. ნეტარ ხსენებულმა დეკანოზმა გიორგი ბერიძემ შეიტანა ისეთი ნიჭიერათ შედგენილი აზრი¹⁾. რომელმაც კომისკრო არა მარტო სამღვდლოების, არამედ ყველა განათლებული ადამიანის ყურადღება და დიდი ინტერესით და სიამოვნებით კითხულობდა მას მთელი შეგნებული ნაწილი ჩვენას მხარისა. საუბედუროთ ეხლა მე ხელთ არ მაქვს მის მიერ დაწერილი აზრი მეგრულ ენაზე წირვის შესახებ, რომ ამასთან წარმოვადგინო რედაქციაში დასაბეჭდავთა. აი სწორეთ ამისთანა მოძღვარი და მოქალაქე დაკარგა დღეს ისედაც ღარიბმა შეგნებული ადამიანებით ჩვენმა მხარემ. მართალია მოკვდა ის, მაგრამ ხსოვნა მისი,

¹⁾ კარგი იქნება მოგვაწვდიდეს ვინმე ამ მოხსენებას. რედ.

როგორც მის სამწყსოში, ისე ყველა მეგრელის გულში საუკუნოდ დარჩება. გურამელი.

მამაო რედაქტორო!

გთხოვთ თქვენს პატივცემულ გაზეთის ერთ უმახლობლეს ნომერში ადგილი დაუთმოს ამ ჩემ წერილს. გაზეთ „შინაური საქმეების“ მე № 37 ში მოთავსებულია ვილაც კომიტეტის წევრის წერილი ამ სათათარით: „იმერეთის ეპარქიის ბლალოჩინია საყურადღებოთ“, რომელშიც ავტორი ეხება ქუთაისის „ბაგრატის ტაძრის“ ზღუდის გასაკეთებლად შეწირულებათა მოკრებას და მე ამ საქმეში გულ-გრილობას მწამებს შემდეგი სიტყვებით: „ერთმა ბლალოჩინმა, (დ. ნს — ძემ), რომელსაც მოწოდებასთან ერთად დახაზული ქალაქი გაუგზავნეთ შეწირულებათა, ჩასაწერად უკანვე დაგვიბრუნა ცარიელი ქალაქი! ალბათ არც კი უჩვენებია სხვა მღვდლებისათვის. რას მივაწეროთ ასეთი გულ-გრილობა ზოგიერთი ბლალოჩინებისა?!“ ყველაფერი აქ თქმული სიმართლეს არ შეეფერება. მე მომივიღა იმერეთის ეპისკოპოსის მიერ მოწოდება „ბაგრატის ტაძრის“ ზღუდის გასაკეთებლათ შეწირულებათა მოკრების შესახებ და 50 ცალი ორ-ორ შაურიანი (და არა აბაზიანი, როგორც კომიტეტის წევრი ბრძანებს) წიგნაკები ეკატესიებზე დასარიგებლათ. ამ წიგნაკების ფასი ხუთი მანეთი მე ამ წლის 16 თებერვალს კიდევაც წარვადგინე სასულიერო სასწავლებლის სამმართველოში. აგრეთვე მოწოდებათა დახაზული ქალაქი შეწირულებათა ჩასაწერათ მე მაშინვე დაუგზავნე ყველა ჩემ საბლალოჩინოს მღვდლებს და ისინი ამ მოწოდებაზე თითქმის ყველანი ხელმოწერილი არიან. სიმართლის აღსადგენათ ამ ხელმოწერილ მოწოდებას და კვიტანციას ხუთი მანეთის სასულიერო სასწავლებლის სამმართველოში წარდგენის შესახებ ამ ჩემ საპასუხო წერილთან ერთათ „შინაური საქმეების“ რედაქციას ვუგზავნი. ამის შემდეგ დაე თვით მკითხველმა საზოგადოებამ განსაჯოს, რამდენათ საფუძვლიანია ბ. კომიტეტის წევრის მიერ გაზეთის ფურცელზე საქვეყნოთ წამოსროლილი ბრალდება.¹⁾

¹⁾ ბლ. დ. ნს — ძემ რედაქციაში წარმოადგინა ხუთი მან. კვიტანცია, ბ. ან. ვორგაძისაგან ხელმოწერილი და მოწოდების ფურცელი 19 კაცისაგან ხელმოწერილი. რედ.

რედაქტორი მღვდელი სიმონ მავალიძე გამომცემელი იოსებ ლეჟავა.

ჩვენის უკაფი. (ქურნალ-გაზეთების კანტორა „იმერეთი“)

ამ წამად ძმობის უკაფი ბ. ი. კვიციანი ქურნალ-გაზეთების კანტორაში იმეკონება შემდეგი სარწმუნოებრივ შინაარსის წიგნები და წიგნაკები:

- 1) მხედრული სახარება სამოციქულოთი და დავითნი დიდი და პატარა ფორმატისა.
- 2) საგალობლები.
- 3) სიბრძნე ბალაფარისა.
- 4) ცხოვრება წმ. საკვირველ-მოქმედისა ნიკოლოზისა.
- 5) ცხოვრება წმ. მკს. თეკლასი.
- 6) ცხოვრება ღირსისა მამისა ილარიონ ქართველისა.
- 7) — ღირსისა მამისა მაკარი ეგვიპტელისა.
- 8) — ღირსისა დედისა თეოდორასი.
- 9) — წმ. უვეცხო მკურნალისა პანტელეიმონისა.
- 10) ცხოვრება დიდისა მოწამისა ევსტათისი.
- 11) წამება წმ. მიქელ ტრიმიდატელისა.
- 12) ცხოვრება შვიდთა ყრმათა ეფესელთა.
- 13) ზორციელად დაფლვა ქრისტესი და შთასვლა ჯოჯოხეთში.
- 14) ცხოვრება თედორე ჯვარ-მტვირთველისა.
- 15) — ისე წილწველ ეპისკოპოსისა.
- 16) მანანა
- 17) ცხოვრება წმ. ევსელნისა.
- 18) ცოლქმრობა.
- 19) ფილოსოფოსი სოკრათი.
- 20) ცხოვრება წმ. მოწ. თეოდორე ტირონისა.
- 21) წამება წმ. მარინესი.
- 22) ცხოვრება წმ. იაკობ დაქრილისა.
- 23) ცხოვრება ალექსი რეთის კაცისა.
- 24) — თხზულება მაქსიმე აღმსარებელისა.
- 25) — ბრძნული სიტყვები.
- 26) — წმ. ნინო ქართველთა განმანათლებელი.
- 27) წამება წმ. რაქდენისა.
- 28) ოქროს წყარო.
- 29) რჩეული სიტყვები.
- 30) ცხოვრება წმ. მარიამ ეგვიპტელისა.
- 31) პარაკლისი დავით გარესჯელისა.
- 32) ცხოვრება წმ. მამისა დავით გარესჯელისა.
- 33) ფაბიოლა, ანუ უწინდელი ქრისტიანები.
- 34) ნოტების სახელმძღვანელო.
- 35) კარგი ყველგან კარგია.
- 36) ენის გაჩენა.
- 37) მესამე ოქრო.
- 38) ბუნება და ადამიანი.
- 39) ქრისტიანობა და დემოკრატია.
- 40) ერთი ღამე აკალდაშაში.
- 41) ახალი აღთქმის საღვთო ისტორია.
- 42) გზა ცხოვრებისა.
- 43) კაიაფას ვაჟიშვილი.
- 44) პროფ. მაქს მიულლერის აზრი მატერიალიზმზე.
- 45) სარწმუნოება და მისი უარის მყოფელნი ჩვენში.
- 46) ქრისტე ღმერთია?
- 47) ქრისტიანობა ბებელის ლაბორატორიაში.
- 48) წყარო ურწმუნოებისა.
- 49) მოკლე საეკლესიო ისტორია.
- 50) სამი მცნება.
- 51) მოხსენება პროფ. კაგარელისა საქართ. ეკ. ავტოკეფალიის შესახებ.
- 52) აკაკი როგორც მგოსანი მამულიშვილი.
- 53) არა კაც კლა.
- 54) პატარა ქრისტიანი.
- 55) წმ. ნინოს დღეობა და მისი მნიშვნელობა.
- 56) ათეიზმი, მისი წარმოშობა და გავლენა მეცნიერებასა და ცხოვრებაზე.
- 57) სიკვდილი მართლისა.
- 58) სინამდვილე სახარებისა და ქრისტეს მკვდრეთით აღდგომისა.
- 59) მოთხრობა შობისათვის უფლისა ჩვენისა ი. ქრისტესა.
- 60) მებაღე ფოკა.
- 61) პატარა ქრისტიანი ანუ საქრობა თუ არა ეკლესიაში ვიარებოდეთ?
- 62) წამება წმიდისა მღმწ. ვლასისა.